დანართი N1

დამტკიცებულია
სსიპ - კოლეჯის „მერმისი“ დირექტორის
2021 წლის 12 ---------02---------- №01-23 ბრძანებით

სსიპ - კოლეჯის „მერმისი“ პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერის მექანიზმები

სსიპ - კოლეჯი „მერმისი“ (შემდგომში „კოლეჯი“) უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას, უქმნის მათ უსაფრთხო გარემოს, ზრუნავს მათი საჭიროებების გამოვლენაზე, სტუდენტური პროექტების განხორციელებაზე და მათი კარიერული განვითარების ხელშეწყობაზე. კოლეჯის სტუდენტებს სთავაზობს სხვადასხვა სახის მხარდაჭერის სერვისებს აქტიური და წარმატებული სტუდენტური ცხოვრებისთვის და ხარისხიანი განათლების მისაღებად.

1. კლეჯში მოქმედებს სტუდენტთა/ მსმენელთა უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმები

ა) პროფესიულ სტუდენტთან/მსმენელთან/პროფესიულ სტუდენტთა კანონიერ წარმომადგენლთან კანონმდებლობის მოთხოვნების გათვალისწინებით გაფორმებულია ხელშეკრულებები, სადაც გაწერილია სტუდენტთა/ მსმენელთა /კანონიერ წარმომადგენელთა უფლება-მოვალეობები;

ბ) პროფესიული სტუდენტები/მსმენელები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით.

გ) პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს პროფესიული განათლების მასწავლებელთან შეთანხმებულ დროს მიიღოს აკადემიურ მოსწრებასთან დაკავშირებით საჭირო კონსულტაცია.

2. სასწავლო გარემო

ა) კოლეჯის სასწავლო სივრცე აღჭურვილია ყველანაირი საჭრო ავეჯით. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს თანამედროვე კომპიუტერული ტექნიკით, პერიფერიული მოწყობილობებით აღჭურვილ აუდიტორიებში და თანამედროვე ტექნიკით მოწყობილ სასწავლო სახელოსნოებში. კოლეჯის სასწავლო სამზარეულოები და ლაბორატორია აღჭურვილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისი ინვენტარით. სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა ინდივიდუალურად და ჯგუფურად შეასრულოს პრაქტიკული დავალებები;

გ) კოლეჯში მთელ ტერიტორიაზე უზრუნველყოფილია სისუფთავის დაცვა. მოწესრიგებულია სველი წერტილები, უზრუნველყოფილია წყლის უწყვეტი მიწოდება;

გ) კოლეჯის შენობა და გარე სასწაავლო სახელოსნოები უზღუნველყოფილია გათბობის სისტემით;

დ) კოლეჯი მუდმივად ზრუნავს მატერიალურ-ტექნიკური რესურსების გაუმჯობესებასა და გამრავაფეროვნებაზე.

ე) სასწავლო სახელოსნოების, ლაბორატორიების და აუდიტორიების კომპიუტერები ჩართულია ინტერნეტის ქსელში და ხელმისაწვდომია სტუდენტთათვის/მსმენელთათვის;

ვ) სტუდენტეს/მსმენელებს შეუძლით უკაბელო ინტერნეტით Wifi სარგებლობა კოლეჯის ტერიტორიაზე.

ზ)კოლეჯში სტუდენტებისათვის ფუნქციონირებს მყუდრო, ნათელი, მოხერხებული დარბაზი, რომელშიც განთავსებულია ინდივიდუალური სამუშაო მაგიდები და ინტერნეტში ჩართული კომპიუტერები.

თ) სტუდენტს/მსმენელს შეუძლია ისარგებლოს ბიბლიოთეკის წიგნსაცავში დაცული პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის მოდულებით განსაზღვრული სასწავლო ლიტერატურით.

ი) ბიბლიოთეკაში დაცულია ასევე საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული ლიტერატურის ელექტრონული (CD და DVD) ვერსიები.

კ) ბიბლიოთეკაში შესაძლებელია მასალების დასკანერება, ასლების გადაღება და ამობეჭდვა.

ლ) ბიბლიოთეკა მუშაობს ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა 09:30 დან 18.30 საათამდე.

4. პროფორიენტაციის და კარიერის დაგეგმვის სერვისი

ა) კოლეჯი აპლიკანტებს ეხმარება მიიღოს ინფორმაცია პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამების, პროფესიული მომზადება/ გადამზადების პროგრამების, მოკლევადიანი პროგრამების, სასწავლო პროცესის ორგანიზების, საწარმოო პრაქტიკის განხორციელების ადგილების, პროფესიული ტესტირების შესახებ;

ბ) კოლეჯი პროფესიულ სტუდენტებს/მსმენელებს უწევს კონსულტირებას დასაქმების ხელშეწყობის მიზნით, აძლევს ინფორმაციას პარტნიორი კომპანიების, ვაკანსიების შესახებ, სტუდენტთა მონაწილეობით აწყობს შეხვედრებს დამსაქმებლებთან.

გ) სტუდენტთა კარიერული განვითარების მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად კოლეჯი ახორციელებს შემდეგ საქმიანობებს:

- სტუდენტების ინფორმირება ვაკანსიების, სტაჟირებების და სხვა კარიერული შესაძლებლობების შესახებ (აღნიშნული მიზნით პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი კოლეჯსი სტუდენტებს/კურსდამთავრებულებს უკავშირდება ტელეფონის საშუალებით, უგზავნის წერილებს ელექტრონულ ფოსტაზე, აწყობს სტუდენტებთან საინფორმაციო ხასიათის შეხვედრებს);
- ვაკანსიებისა და სტაჟირებების შესახებ შესაბამისი კონსულტაციების გაწევა, როგორიცაა: გასაუბრებებზე გასვლა, შესაბამისი საბუთების, CV-ს, ავტობიოგრაფიის, სამოტივაციო წერილის, რეკომენდაციის და სხვა დოკუმენტების მომზადება;
- სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა სტაჟირებისა და დასაქმების მხარდასაჭერად, საჯარო და კერძო ორგანიზაციებთან მემორანდუმების/ხელშეკრულებების გაფორმება;
- კოლეჯში დამსაქმებელთა ბაზის წარმოება, რომლის მეშვეობითაც კოლეჯი აწარმოებს ორმხრივ კომუნიკაციას პოტენციურ დამსაქმებლებთან;
- სტუდენტებს შეუძლიათ გაიარონ სტაჟირება კოლეჯის სტრუქტურულ ერთეულებში პროფესიული უნარების გაუმჯობესების მიზნით.
- კოლეჯი შესაძლებლობას აძლევს კურსდამთავრებულებს დასაქმდნენ კოლეჯში თავისი კომპენტეციებიდან გამომიდინარე.

5. სსსმ და შშმ პირების მხარდაჭერა

ა) კოლეჯში სსსმ და შშმ პირებისათვის შექმნილია ხელმისაწვდომი სასწავლო გარემო, რომელიც მოწყობილია უნივერსალური დიზაინის პრინციპით;
ბ) კოლეჯის ინკლუზიური პროფესიული განათლების გუნდი ჩართულია სსსმ და შშმ პირების მიერ პროფესიული განათლების მიღების და მომსახურების პროცესში. საჭიროების შემთხვევაში კოლეჯი უზრუნველყოფს სსსმ პირთა საგანმანათლებლო პროცესში ჟესტური ენის თარჯიმნის, სივრცითი ორიენტაციისა და მობილობის ტრენერის, გადაადგილების მხარდამჭერის და სპეციალური მომვლელის ჩართვას.
გ) საჭიროების შემთხვევაში სსსმ და შშმ პირებისთვის მასწავლებელი იყენებს ინდივიდუალურ მიდგომებს, სწავლება მიმდინარეობს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით;
დ) საჭიროების შემთხვევაში სსსმ და შშმ პირებს კოლეჯი სთავაზობს სატრანსპორტო მომსახურებას.

6. ჯანდაცვისა და უსაფრთხოების სერვისი

ა) კოლეჯში ფუნქციონირებს სამედიცინო კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია პირველადი დახმარებისათვის საჭირო ყველა აუცილებელი მედიკამენტით. კოლეჯის მედდა ნებისმიერი გაუთვალისწინებელი შემთხვევის დროს, მზად არის პირველადი

დახმარება აღმოუჩინოს დაშავებულს. კოლეჯის მედდის ტელეფონის ნომერი თვალსაჩინო ადგილასაა გამოკრული ყველა აუდიტორიასა და სასწავლო სახელოსნოში.

ბ) კოლეჯში ყველა პირობაა სტუდენტებისათვის/მსმენელებისათვის უსაფრთხო გარემოს და სასწავლო პირობებისა შესაქმნელად.

გ) კოლეჯის ტერიტორია შემოსაზღვრულია. უცხო პირთა შესვლა კოლეჯის ტერიტორიაზე კონტროლდება დარაჯის მიერ, რომელიც პერიოდულად ახორციელებს კოლეჯის გარე პერიმეტრის (ეზო) შემოვლა-დათვალიერებას.

დ) კოლეჯი უსაფრთხოების დაცვის მიზნით ახორციელებს კოლეჯის შენობისა (აუდიტორიებისა და სამუშაო კაბინეტების გარდა) და ეზოს ვიდეოკონტროლდ.

7. სტუდენტთა ადმინისტრაციული მხარდაჭერა

ა) სასწავლო პროცესის დაწყებისთანავე ხორციელდება სტუდენტების/ მსმენელების კოლეჯში ადაპტირება. აღნიშნული მიზნით კოლეჯი უზრუნველყოფს ახლადჩარიცხული სტუდენტებისთვის/მსემენელებისათვის საინფორმაციო/გაცნობითი/საორიენტაციო შეხვედრების ორგანიზებას;

ბ) გაიცემა ცნობები სტუდენტის/ მსმენელის საჭიროებების მიხედვით;

გ) საჭიროების შემთხვევაში სტუდენტებს/მსმენელებს შეუძლიათ ისარგებლონ კოლეჯის მიკროავტობუსის მომსახურებით;

დ) სტუდენტს/ მსმენელს შეუძლია ისარგებლოს საკოლნსულტაციო მომსახურებით, მათ შორის აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების შესახებ;

ე) თითოეულ სტუდენტს/მსმენელს შეუძლია მიმართოს კოლეჯს ფეისბუქის გვერდზე ან დაწეროს განცხადება კანცელარიაში და წარუდგინოს: მოსაზრება, წინადადება, პროექტი;

ვ) სტუდენტების/მსმენელების ინიციატივები შემოქმედებითი, შემეცნებითი და სპორტული ღონისძიებების ჩატარების მიმართულებით ადმინისტრაციის მიერ მხარდაჭერილია;

ზ) სტუდენტის/მსმენელის მიერ კონკრეტული ინიციატივა წარმოდგენილი უნდა იქნას წერილობითი ფორმით კოლეჯის კანცელარიაში. წარმოდგენილ ინიციატივას განიხილავს კოლეჯის ადმინისტრაცია და 10 სამუშაო დღის ვადაში განმცხადებელს აცნობებს პასუხს ინიციატივის დაკმაყოფილების ან დაკამყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

ზ) სტუდენტთა ინოვაციური იდეების, პროექტების რეალიზებისთვის ფუნქციონირებს სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორია FABLAB.

თ) გარდა ხარისხიანი განათლების მიწოდებისა, კოლეჯი ზრუნავს სტუდენტურ ცხოვრებაზე და სწავლის პერიოდში სთავაზობს სხვადასხვა ტიპის პროექტებსა და ღონისძიებებში მონაწილეობს შესაძლებლობებს.

8. ფორმალური განათლების აღიარების სერვისი

ა) მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის ხელშეწყობის მიზნით, კოლეჯი პროფესიულ სტუდენტებს სთავაზობს ფორმალური განათლების ფარგლებში მღწეული სწავლის შედეგების აღიარებას, რაც გამოიხატება სახელმწიფოს მიერ აღიარებული სერტიფიკატით, უმაღლესი ან პროფესიული განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტით – დიპლომით ან ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტით დადასტურებული სწავლის შედეგების აღიარებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისათვის;
ბ) კოლეჯს შემუშავებული აქვს ფორმალური განათლების აღიარების წესი და პროცედურა, რომელიც განთავსებულია კოლეჯის ვებგვერდზე და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის.

შეთანხმებულია:

სსიპ - კოლეჯის „მერმისი“ დირექტორის მოადგილე ----------/დავით უგულავა/

სსიპ - კოლეჯის „მერმისი“ ხარისხის მართვის მენეჯერი ----------/ნანა ნამგალაძე/

სსიპ - კოლეჯის „მერმისი“ სასწავლო პროცესის მენეჯერი ----------/მაია დანელია/

სსიპ - კოლეჯის „მერმისი“ სასწავლო პროცესის მენეჯერი ----------/ოლღა ციციშვილი/

სსიპ - კოლეჯის „მერმისი“ პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი ----------/ლალი ბეშკენაძე/

შემსრულებელი:

სსიპ - კოლეჯის „მერმისი“ იურისტი ----------/დარეჯან გულაზიანი/